,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის 2017 წლის 18 დეკემბრის №269/01-01 ბრძანების საფუძველზე, ფსიქოლოგიის დეპარტამენტში გამოცხადებული ასოცირებული პროფესორების კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 22 იანვრის №7/2018 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის

ოქმი N3

ქ. თბილისი 19.02 2018 წელი

სხდომას ესწრებოდა კომისიის ხუთი წევრიდან ოთხი წევრი - 1. თამარ გაგოშიძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. მზია წერეთელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. იამზე კუტალაძე (კომისიის მდივანი); 4. მაყვალა ხარშილაძე.

დღის წესრიგი:

,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ'' რექტორის 2017 წლის 18 დეკემბრის №269/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში **მონაწილე კონკურსანტების შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და მათი დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კენჭისყრის ჩატარება.**

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ თამარ გაგოშიძის და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის შესახებ, აგრეთვე გასაუბრებაზე კონკურსანტების გამოსვლის შედეგები.

კომისია ასევე გულდასმით გაეცნო გასაუბრების შედეგების ამსახველი ოქმის შინაარსს და შეფასების ორივე ეტაპის შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტების საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ:

1. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე სოფიო დოლიძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა – 4, წინააღმდეგი - 0.
2. განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ია აფთარაშვილის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა – 4, წინააღმდეგი - 0.
3. განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ნინო ლაბარტყავას გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა – 4, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ს ვებ გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: თამარ გაგოშიძე

კომისიის მდივანი: იამზე კუტალაძე